

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე

#### „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი.

ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრებს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ იკისრა ვალდებულება განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების სფეროში.

საქართველოს კანონმდებლობის აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივასთან<sup>1</sup> შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება განსაზღვრულია ასოცირების ხელშეკრულების XXXIII დანართით.

მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია შესაბამისობაში არ არის აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივასთან.

გარდა იმისა, რომ აღნიშნულ დირექტივასთან ქართული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებას, აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის „შემოქმედებითი ევროპის“ პროგრამაში (2021-2027) საქართველოს სრულყოფილი მონაწილეობის წინაპირობაცაა. საქართველოს საგარეო სამინისტროს ცნობით (№01/22329, 25/07/2022 წერილი) 2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, პროგრამის ინტერსექტორულ და მედიის მიმართულებებში საქართველოს მონაწილეობის

---

<sup>1</sup> 2010 წლის 10 მარტის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2010/13/EC დირექტივა აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებით ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ

გასაგრძელებლად, ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია 2010/13/EU ევრო დირექტივის (რომელიც შესწორდა №(EU2018/1808 დირექტივით) მოქმედ რედაქციასთან. თუ საქართველო 2022 წლის 30 სექტემბრისთვის ევროკომისიას არ წარუდგენს აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ ეროვნულ ანგარიშს, შესაძლებელია შეწყდეს „შემოქმედებითი ევროპის“ მედიის და ინტერსექტორულ მიმართულებებში საქართველოს მონაწილეობა. შესაბამისად, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, საქართველოს კანონმდებლობის დახვეწისა და ევროკავშირში საქართველოს სამართლებრივ ინტეგრაციასთან ერთად, 2010/13/EU ევრო დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის დროული ჰარმონიზაცია 2.44 მილიარდი ევროს ბიუჯეტთან პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის წინაპირობაც არის.

#### **ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში - კომისია) სხვადასხვა პროექტების ფარგლებში (მათ შორის: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დაფინანსებული პროექტი „საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარება“; ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „საქართველოს კანონმდებლობისა და აუდიოვიზუალური მედია დირექტივის დაახლოების პროცესში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხარდაჭერი პროექტი“; ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება“), უცხოელ ექსპერტებთან ერთად ინტენსიურად მუშაობდა საქართველოს კანონმდებლობასა და მითითებულ დირექტივას შორის შეუსაბამობების დადგენაზე, რა დროსაც გამოიკვეთა მთელი რიგი შეუსაბამობები, რამაც დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების აუცილებლობა.

ამასთან, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დამატებით შეისწავლა აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივაში 2018 წლის 14 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებები (DIRECTIVE (EU) 2018/1808 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL) და გამოვლინდა, რომ აღნიშნული ცვლილებებიც საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობაში სათანადოდ ასახვას.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივით გათვალისწინებული საკითხები წარმოადგენს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროს, შესაბამისად, იმისათვის, რომ მოხდეს ქართული კანონმდებლობის აღნიშნულ დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა, აუცილებელია, რომ ცვლილებები შევიდეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები;**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივის დღეს მოქმედ რედაქციასთან, კერძოდ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში კანონმდებლობით მოხდება ისეთი წესების განსაზღვრა, რომლებიც გაითვალისწინებს ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციებს და უზრუნველყოფს ერთიან თანაბარ პირობებს ბაზარზე გამოჩენილი აუდიოვიზუალური მედიის ახალი სახეებისთვის.

ამავდროულად, კანონპროექტით განსაზღვრული წესების მიზანია კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, არასრულწლოვანთა და მომხმარებელთა დაცვა, მედია პლურალიზმის უზრუნველყოფა და სხვადასხვა ნიშნით სიძულვილის ენის გავრცელების, ტერორიზმის წაქეზების შემცველ პროგრამებსა და რეკლამებზე ეფექტიანი რეაგირების, მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო პროგრამებისა და რეკლამების გავრცელების თანმდევი რისკებისა და შედეგების ეფექტიანი პრევენციის მექანიზმის შექმნა.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტით, საკანონმდებლო რეგულირებას მაუწყებლებთან ერთად დაექვემდებარებიან გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები და ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლები. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივის გათვალისწინებით, კანონპროექტით შემოდის „მედია მომსახურებების“ ცნება, რომელიც მოიცავს აუდიოვიზუალურ მედია მომსახურებებს და რადიო მაუწყებლობას. თავის მხრივ, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების სახეებს

მიეკუთვნება ტელემაუწყებლობა, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება და აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაცია.

გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი აუდიოვიზუალური მომსახურების სახეა და გულისხმობს მომხმარებლისთვის შეთავაზებულ მომსახურებას, აირჩიოს და უყუროს პროგრამებს მისი ინდივიდუალური მოთხოვნისამებრ და მის მიერ არჩეული დროის მონაკვეთში, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ შერჩეული პროგრამების კატალოგის საფუძველზე.

კანონპროექტი მკაფიოდ განსაზღვრავს განსხვავებას მაუწყებელსა და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელს შორის. მაუწყებელი სამაუწყებლო ბადით თავად განსაზღვრავს რა დროს, რა თანმიმდევრობით და რა პროგრამას უყუროს მომხმარებელმა, ისე რომ აუდიოვიზუალური პროდუქცია ყველა მომხმარებლისთვის ერთდროულად ხელმისაწვდომია ანუ მომხმარებლები პროგრამებს უყურებენ მაუწყებლის მიერ ამ პროგრამათა გადაცემის დროს. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, თითოეული მომხმარებელი თავად ირჩევს პროგრამათა კატალოგიდან თუ რომელ პროგრამას უყუროს და ამასთან, ამ პროგრამას უყურებს მისთვის სასურველ დროს და არა მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ განსაზღვრულ დროს.

გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება ტელემაუწყებლობის მსგავსად დაექვემდებარება სავალდებულო ავტორიზაციას. კერძოდ, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდების მსურველი პირი ვალდებული იქნება, კომისიაში გაიაროს ავტორიზაცია. უშუალოდ გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდების მიმართ დგინდება ამ მომსახურების შესატყვისი რეგულაციები: პროგრამული შეზღუდვები, არასრულწლოვნების დასაცავი ღონისძიებების შემოღების ვალდებულებები, კომერციული აუდიოვიზუალური კომუნიკაციის სტანდარტები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცავი წესები, კატალოგში ევროპული პროდუქციისთვის შესაბამისი წილის დათმობის ვალდებულება და ა.შ.

ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურება კიდევ ერთი ახალი მომსახურების სახეა, რომლის რეგულირებაც შემოთავაზებულია კანონპროექტით. ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურება ევროდირექტივის თანახმად არ არის აუდიოვიზუალური მედია მომსახურების სახე, თუმცა, ვინაიდან იგი მოიცავს ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებით პროგრამებისა და მომხმარებლების გენერირებული მასალის გავრცელებას, როგორც მედიამომსახურებების მომიჯნავე

მომსახურება, ევროდირექტივაში 2018 წლის ნოემბერში განხორციელებული ცვლილების შედეგად, რეგულირებას ექვემდებარება.

ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურება არის ისეთი მომსახურება, რომლის ან რომლის განუყოფელი ნაწილის ძირითად მიზანი ან არსებითი ფუნქციონალია პროგრამების ან/და მომხმარებლის გენერირებული ვიდეორგოლების ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით ფართო საზოგადოებისთვის მიწოდება, მისი ინფორმირების, გართობის ან განათლების მიზნით და ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის სარედაქციო პასუხისმგებლობის გარეშე. ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების ორგანიზება, კერძოდ, ჩვენება, მონიშვნა და მიმდევრობა განისაზღვრება მისი მიმწოდებლის მიერ, მათ შორის, ავტომატური საშუალებებით ან ალგორითმებით.

შემოთავაზებული კანონპროექტის თანახმად, ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების მიწოდებამდე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გაიაროს ავტორიზაცია. ავტორიზაციის პროცედურა იქნება მარტივი და მისი საფუძველი იქნება ავტორიზაციის მაძიებლის განაცხადი რომელიც უნდა შეიცავდეს ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიწოდების მსურველი სუბიექტისა და განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

კანონპროექტის თანახმად, ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, რათა თავიდან აიცილოს მისი პლატფორმის მეშვეობით ისეთი ვიდეორგოლების, პროგრამების და აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაციის გავრცელება, რომელიც არასრულწლოვნებისთვის შეუფერებელია, სიძულვილის ენას განეკუთვნება ან რომლის გავრცელება დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

კანონპროექტით ასევე დგინდება მოთხოვნები ვიდეო გაზიარების პლატფორმით გავრცელებული აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაციის მიმართ.

გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლებს მაუწყებლებისა და გამომცხეებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლებისაგან განსხვავებით არ აქვთ სარედაქციო პასუხისმგებლობა მათი პლატფორმის მეშვეობით გავრცელებულ მასალაზე. ისინი ქმნიან პლატფორმას, სადაც მომხმარებლები თავად ტვირთავენ შესაბამის მასალას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსხვავებულია ვიდეო გაზიარების პლატფორმების რეგულირების პრინციპები. კერძოდ, მათ არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა უშუალოდ მომხმარებლის მიერ გავრცელებული ვიდეორგოლების არამართლზომიერების გამო.

ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლებს ეკისრებათ ვალდებულება, გაატარონ სათანადო ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ მათი პლატფორმების მეშვეობით გავრცელებული მასალის კანონთან შესაბამისობა. ასეთი ღონისძიებებია - კანონით განსაზღვრული მოთხოვნების ასახვა მომსახურების მიწოდების წესებსა და პირობებში, სხვადასხვა ფუნქციონალის შექმნა, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებლები პლატფორმას შეატყობინებენ ან მიანიშნებენ კანონის დარღვევით მასალის განთავსების თაობაზე, მშობლის კონტროლისა და ასაკობრივი კონტროლის მექანიზმების შემოღება არასრულწლოვნების დასაცავად, მომხმარებლების საჩივრების განხილვის და გადაწყვეტის გამჭვირვალე და ეფექტური პროცედურების ჩამოყალიბება და ა.შ. ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის გატარებული ღონისძიებები უნდა იყოს ადეკვატური და პროპორციული, უნდა შეესაბამებოდეს პლატფორმაზე განთავსებული მასალის ბუნებას. ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიწოდებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს განახორციელებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივის მე-2 მუხლის შესაბამისად, კანონპროექტი განსაზღვრავს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელების პირობებს, რომელთა მიზანია აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელმა, რომელიც არ არის დაფუძნებული საქართველოში, მაგრამ, მისი აუდიოვიზუალური მედია პროდუქცია განკუთვნილია საქართველოს აუდიტორიისთვის და ის ზეგავლენას ახდენს მასზე, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა. კანონპროექტით, იურისდიქციის საკითხის გადასაწყვეტად გამოყენებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები: აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის სათაო ოფისის ადგილსამყოფელისა და სარედაქციო გადაწყვეტილებების მიღების ქვეყანა, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდებაში ჩართული სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილის საქმიანობის განხორციელების ქვეყანა, ასევე, ქვეყანა, სადაც განთავსებულია აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ გამოყენებული თანამგზავრული კომუნიკაციის (კავშირის) სადგური ან ქვეყანა, რომლის კუთვნილი თანამგზავრის ფუნქციურ რესურსს იყენებს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი. ასევე დირექტივის შესაბამისად ცალკე განისაზღვრება ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლებზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელების პირობები, რომლებიც უკავშირდება ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის, მისი შვილობილი, მშობელი საწარმოს ან მის ჯგუფში შემავალი სხვა საწარმოს საქართველოში დაფუძნებას.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივის მე-5 მუხლის შესაბამისად, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული იქნებიან მათი მომსახურების მიმღები პირები უზრუნველყონ ინფორმაციით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის სახელწოდების შესახებ, საკონტაქტო მონაცემებით, მათ შორის: მისამართი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, ინფორმაცია მარეგულირებელი ორგანოს შესახებ, რომელსაც აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. კანონპროექტი ითვალისწინებს მედია მომსახურების მიმწოდებლების ანალოგიურ ვალდებულებებს.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის ახალი რედაქციის მე-6 მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყოფენ, რომ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მედია მომსახურების მიმწოდებლების მიერ მიწოდებული აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურება არ შეიცავდეს პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური, სოციალური წარმომავლობის, სქესის, გენდერული მიკუთვნების, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების ან ასაკის ნიშნით ძალადობის ან ზიზღის წაქეზებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე. ასევე იკრძალება ტერორიზმისკენ მოწოდება. კანონპროექტით დირექტივის ახალი რედაქციით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ზუსტდება სიძულვილის ენის განმარტება და დგინდება ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამისა და რეკლამის გავრცელების აკრძალვა. დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით აღნიშნული შეზღუდვების დარღვევის ფაქტებზე რეაგირებას განახორციელებს კომისია.

ევროდირექტივის IX თავის შესაბამისად, კანონპროექტით ახლებურად - დირექტივის შესატყვისად რეგულირდება პასუხის უფლება. კერძოდ, პირს რომლის კანონიერი ინტერესები, განსაკუთრებით რეპუტაცია და სახელი, დაზიანდა სატელევიზიო გადაცემაში არასწორი ფაქტების გადაცემით უნდა ჰქონდეს პასუხის ან სხვა ექვივალენტური დაცვის საშუალებების უფლება. შესაბამისად კანონპროექტით პასუხის უფლება ენიჭება იმ პირს, ვისი კანონიერი უფლებაც შეილახა მაუწყებლის პროგრამაში არასწორი ფაქტების გადაცემით; დაინტერესებული პირი

უფლებამოსილია მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა. მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებაზე ან უარყოფაზე მაუწყებლის უარი შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში ან სასამართლოში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში უცხოელი ექსპერტების მიერ კომისიისთვის მოცემული რეკომენდაციების თანახმად, ზემოაღნიშნული საკითხებზე რეაგირება სწორედ მაუწყებლობის სფეროს მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებას უნდა წარმოადგენდეს.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის სადეკლარაციო ნაწილის 44-ე პუნქტის თანახმად, თვითრეგულირების მექანიზმი შესაძლებელია წარმოადგენდეს აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის აღსრულების დამატებით საშუალებას, მაგრამ, თვითრეგულირების მექანიზმის არსებობა ვერ ჩაანაცვლებს სახელმწიფოს ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს აღნიშნული ევრო დირექტივიდან. ამავე პუნქტის თანახმად, სახელმწიფოში თანარეგულირების მექანიზმის არსებობის შემთხვევაშიც კი, უნდა არსებობდეს სახელმწიფო ჩარევის შესაძლებლობა, თუკი აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის მიზნები არ არის მიღწეული.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, როგორც წესი, სიძულვილის ენისა და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამებისა და რეკლამების გავრცელების, ისევე როგორც პასუხის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები, რეგულირდება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივის სადეკლარაციო ნაწილის 46-ე პუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობა და ინტეგრაცია სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში დაკავშირებულია აუდიოვიზუალური მედია მომსახურების ხელმისაწვდომობასთან. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის მე-7 მუხლის შესაბამისად, კანონპროექტით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლებს წარმოეშობათ ვალდებულება უზრუნველყონ მათ მიერ



განთავსებული პროგრამების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

კანონპროექტით შემოთავაზებულია ადმინისტრაციულ ორგანოს მიენიჭოს უფლებამოსილება დააფინანსოს მაუწყებლის მიერ სატელევიზიო გასართობი/შემეცნებითი გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ადაპტაციისათვის გაწეული დამატებითი ხარჯები, გადაცემის ეთერში გასვლის შემდგომ. ამ შემთხვევაში მაუწყებელმა ადმინისტრაციულ ორგანოსა და კომისიას უნდა წარუდგინოს ანგარიში გადაცემის ადაპტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების შესახებ, შესაბამისი პირველადი ფინანსური დოკუმენტების (ინვოისი, მიღება ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება და ა.შ.) დართვით. ხოლო, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა განახორციელოს მონიტორინგი და დაადასტუროს, რომ ეთერში გასული გადაცემა შეესაბამებოდა კომისიის მიერ დამტკიცებულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის შესტური ენით, სუბტიტრებიტა და აუდიოდესკრიფციით გადაცემების დამზადებისა და განთავსების სახელმძღვანელო წესებს.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივის მე-9 მუხლის შესაბამისად, კანონპროექტით იკრძალება ფარული აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაცია, რომელიც ამავე დირექტივაში მოცემული განმარტების გათვალისწინებით, წარმოადგენს პროდუქტის, მომსახურების ან პროდუქტის მწარმოებლის ან მომსახურების მიმწოდებლის სახელის, სავაჭრო ნიშნის ან საქმიანობის სიტყვიერი ან გრაფიკული გამოსახულების პროგრამებში განთავსებას მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ რეკლამირების განზრახვით იმგვარად, რომ ამ გამოსახულებათა პროგრამებში განთავსების დანიშნულებასთან მიმართებაში მყურებელი შესაძლოა შეცდომაში შევიდეს. კანონპროექტით, ამგვარი გამოსახულებები პროგრამებში განზრახ განთავსებულად მიიჩნევა, თუ განხორციელებულია საფასურის ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ.

კანონპროექტით განსაზღვრულია საქართველოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოებში ავტორიზებული/ლიცენზირებული ტელეარხების თავისუფალი მიღება და შეუზღუდავი ტრანზიტი, ასევე, სხვა სახელმწიფოებიდან გამომდინარე აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიღება, თუკი მაუწყებელთა და გამომცემთა აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული პროგრამები შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონმდებლობასთან. კანონპროექტი განსაზღვრავს ტელეარხისა და გამომცემთა აუდიოვიზუალური მედია მომსახურების თავისუფალი მიღებისა და

ტრანზიტის შეზღუდვის პირობებს. კერძოდ, სხვა სახელმწიფოებში ავტორიზებული/ლიცენზირებული ტელეარხის /გამოძახებით აუდიო ვიზუალური მედია მომსახურების თავისუფალი მიღებისა და გავრცელების შეზღუდვა დასაშვები იქნება, თუკი ამ მედია მომსახურებებით გავრცელებული პროგრამები არ იქნება შესაბამისობაში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან (მაგალითად, როცა პროგრამა ან რეკლამა მავნე ზეგავლენის მომხდენია ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე, შეიცავს სიძულვილის ენას, ტერორიზმისკენ მოწოდებას ან რისკს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ეროვნულ უშიშროებას და თავდაცვას.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივის მე-15 მუხლის შესაბამისად, კანონპროექტით განისაზღვრება ტელემაუწყებლის მიერ გადაცემულ მთავარ მოვლენაზე სხვა მაუწყებლების მიერ წვდომის მოპოვების ზოგადი პირობები და მთავარი მოვლენის გაშუქების ექსკლუზიური უფლების მფლობელი მაუწყებლის ვალდებულება უზრუნველყოს წვდომა აღნიშნული მოვლენების საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქების მიზნით. აღნიშნული ემსახურება მაუწყებლის მიერ საჯარო ინტერესის მქონე მოვლენების ექსკლუზიურად გაშუქებისა და საზოგადოების დიდი ნაწილის ასეთ მოვლენებზე წვდომის შეზღუდვის თავიდან აცილებას.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივის მე-16 მუხლის შესაბამისად, ევროპული წარმოების სატელევიზიო პროდუქციის გავრცელების ხელშეწყობის მიზნით, კანონპროექტით ზუსტდება ტელემაუწყებლის მიერ ასეთი პროდუქციისთვის სატელევიზიო დროის გამოყოფის წესი. კერძოდ, მაუწყებელმა მისი სატელევიზიო დროის მინიმუმ 10% (ახალი ამბების პროგრამების, სპორტული მოვლენებისა და თამაშების, რეკლამის, ტელეტექსტის და ტელეშოპინგისათვის გამოყოფილი დროის გამოკლებით) ან შენაცვლებით მისი პროგრამების ბიუჯეტის მინიმუმ 10% ტელემაუწყებლისგან დამოუკიდებელი პროდიუსერების მიერ შექმნილი ევროპული წარმოების პროდუქციას უნდა დაუთმოს.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივის მე-13 მუხლის შესაბამისად, კანონპროექტით განისაზღვრება გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულება ხელი შეუწყოს ევროპული წარმოების პროდუქციის წარმოებას და ხელმისაწვდომობას, შეთავაზებული კატალოგის არანაკლებ 30% დაუთმოს ევროპული წარმოების პროდუქციას და უზრუნველყოს მისთვის კატალოგში თვალსაჩინო ადგილის მინიჭება.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

მიზანშეწონილია კანონპროექტის დროული ამოქმედება, შესაბამისად გათვალისწინებულია, რომ კანონი ძალაში უნდა შევიდეს გამოქვეყნებისთანავე, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას დააფინანსოს მაუწყებლის მიერ სატელევიზიო გასართობი/შემეცნებითი გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ადაპტაციისათვის გაწეული დამატებითი ხარჯები, გადაცემის ეთერში გასვლის შემდგომ, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევა (იმისდა მიხედვით, თუ რომელი დონის ბიუჯეტის დაფინანსებაზე იმყოფება ადმინისტრაციული ორგანო).

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რამდენადაც ფართოვდება ავტორიზაციას დაქვემდებარებული საქმიანობის სახეები (კერძოდ ავტორიზაციას დაქვემდებარება გამოძახებითი აუდიოვიზუალური მედია მომსახურება და ვიდეო გაზიარების

პლატფორმის მომსახურება), შესაბამისად შესაძლოა გაიზარდოს ავტორიზებული პირების რაოდენობაც, ხოლო აღნიშნული სუბიექტების მიერ ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა, ასევე მათ მიერ მაუწყებლობის სფეროში კანონმდებლობის დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის სახით ჯარიმის დაკისრებას, რომელიც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება იმ პირების რაოდენობაზე, რომლებიც ავტორიზაციის გარეშე განახორციელებენ საქმიანობას და დაჯარიმდებიან. ჯარიმის ოდენობა ავტორიზაციის გარეშე საქმიანობისთვის შეადგენს 5 000 ლარს.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას დააფინანსოს მაუწყებლის მიერ სატელევიზიო გასართობი/შემეცნებითი გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ადაპტაციისათვის გაწეული დამატებითი ხარჯები, გადაცემის ეთერში გასვლის შემდგომ, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (იმისდა მიხედვით, თუ რომელი დონის ბიუჯეტის დაფინანსებაზე იმყოფება ადმინისტრაციული ორგანო) ხარჯების გამოყოფა.

ასევე აღსანიშნავია, რომ აუდიო ვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები (მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან) ვალდებული არიან უზრუნველყონ, განთავსებული პროგრამების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი ხელმისაწვდომობა 2029 წლის პირველ იანვრამდე. შესაბამისად, საზოგადოებრივ მაუწყებელს კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად შესაძლოა წარმოეშვას დამატებითი ხარჯები.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტით ფართოვდება ავტორიზაციას დაქვემდებარებულ პირთა წრე (კერძოდ სავალდებულო ავტორიზაცია მოუწევთ გამოძახებითი აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელ პირებს და ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელ პირებს), ხოლო ავტორიზაცია დაკავშირებულია რეგულირების საფასურის გადახდასთან (რეგულირების საფასურის ოდენობა ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი). რეგულირების საფასური გამოიანგარიშება კალენდარული წლის განმავლობაში მაუწყებელთა შემოსავლიდან ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან ყოველთვიურად ფაქტობრივად მიღებული შემოსავლიდან გამომდინარე), რომელიც ირიცხება კომისიის ბიუჯეტში, შესაბამისად, კანონპროექტმა შესაძლოა გამოიწვიოს კომისიის შემოსავლების ზრდა.

კანონპროექტის მიღებამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს კომისიის ხარჯების ზრდაც, რამდენადაც იზრდება რეგულირების სფერო და ავტორიზაციას დაქვემდებარება გამოძახებითი აუდიოვიზუალური მედია მომსახურება და ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიწოდება, შესაბამისად კომისიას შეიძლება დასჭირდეს მეტი ადამიანური რესურსი, რათა ჯეროვნად შეძლოს დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. ხოლო ადამიანური რესურსის ზრდა თავის მხრივ გამოიწვევს, ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ავტორიზაციის წრის გაფართოებასთან ერთად, პირებს, რომლებსაც დღეს არ აქვთ ავტორიზაციის და შესაბამისად რეგულირების საფასურის გადახდის ვალდებულება, მოუწევთ რეგულირების საფასურის გადახდა, რაც გამოიწვევს მათი ხარჯების ზრდას. ასევე, ვინაიდან აღნიშნული პირები დაქვემდებარებიან ავტორიზაციას და შესაბამისად რეგულაციას, მათ მიერ მაუწყებლობის შესახებ კანონმდებლობის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს მათთვის ჯარიმის დაკისრება, რომლის გადახდა მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტში, შესაბამისად ამ მხრივაც შეიძლება მოხდეს აღნიშნული პირების ხარჯების ზრდა.

კანონპროექტის თანახმად, გამოძახებითი აუდიო ვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლებს უჩნდებათ ვალდებულება, რომ მათ მიერ შეთავაზებული კატალოგის

არანაკლებ 30% იყოს ევროპული პროდუქცია (ევროპული პროდუქცია მათ შორის გულისხმობს ქართულ პროდუქციასაც), რის გამოც შესაძლებელია, რომ აღნიშნულ პირებს გაეზარდოთ ხარჯები.

კანონპროექტით იცვლება რეგულაცია, რომლის თანახმადაც მაუწყებლის არხზე, გარდა სპეციალიზებული სარეკლამო ან/და ტელეშოპინგის არხისა, კომერციული რეკლამა ან/და ტელეშოპინგი (Teleshopping Spot) სარეკლამო წყვეტებში ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი მოცულობა 6 საათიდან 18 საათამდე პერიოდში არ აღემატებოდეს ამ პერიოდის 20%-ს და 18 საათიდან 24 საათამდე პერიოდში არ აღემატებოდეს ამ პერიოდის 20%-ს. აღნიშნული ნორმით იცვლება ის რეგულაცია, რომელიც მაუწყებელს უკრძალავდა, რომ საათში 20%-ზე მეტი დაეთმო კომერციული რეკლამისთვის ან/და ტელეშოპინგისთვის (Teleshopping Spot). შემოთავაზებული ცვლილება მეტ მოქნილობას აძლევს მაუწყებლებს თვითონ დააბალანსონ აღნიშნული დრო და განათავსონ კომერციული რეკლამა და ტელეშოპინგი, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მაუწყებლების შემოსავლების ზრდა.

გათვალისწინებულია, რომ აუდიო ვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებული არიან უზრუნველყონ, განთავსებული პროგრამების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი ხელმისაწვდომობა 2029 წლის პირველ იანვრამდე. შესაბამისად, აღნიშნულ სუბიექტებს კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად შესაძლოა წარმოეშვათ დამატებითი ხარჯები.

საყურადღებოა ისიც, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურთან კომისიის მიერ დადგენილი წესით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი პორტალის შექმნას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომისიის ხარჯვითი ნაწილის ზრდა, ვინაიდან, კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები ფინანსდება კომისიის ბიუჯეტიდან.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

**ბ<sup>1</sup>) ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება.**

კანონპროექტი დადებით გავლენას მოახდენს ბავშვების/არასრულწლოვნების უფლებრივ მდგომარეობაზე, რამდენადაც კანონპროექტით გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდების მიმართ დგინდება ამ მომსახურების შესატყვისი პროგრამული შეზღუდვები, არასრულწლოვნების დასაცავი ღონისძიებების შემოღების ვალდებულებები, კერძოდ კი კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში თუ გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების ფარგლებში ხორციელდება ისეთი პროგრამების გავრცელება, რომლებმაც შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას, ასეთი პროგრამები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ არასრულწლოვნებმა ეს პროგრამები როგორც წესი ვერ ნახონ ან ვერ მოისმინონ; ასეთი პროგრამები შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდების თანხლებით. ამასთან, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების ფარგლებში გავრცელებული პროგრამების შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდების წესები დადგინდება ამ კანონით და კომისიის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

კანონპროექტის თანახმად, ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაატაროს ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, რათა თავიდან აიცილოს მისი პლატფორმის მეშვეობით ისეთი ვიდეო-რგოლების, პროგრამების და აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაციის გავრცელება, რომელიც არასრულწლოვნებისთვის შეუფერებელია, ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლებს ასევე დაეკისრებათ მშობლის კონტროლისა და ასაკობრივი კონტროლის მექანიზმების შემოღების ვალდებულება, არასრულწლოვნების დასაცავად.

კანონპროექტის თანახმად, ასევე აიკრძალება მედია მომსახურებისა და ვიდეო გაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის შეგროვებული ან მის მიერ სხვაგვარად გენერირებული არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემის დამუშავება კომერციული მიზნით, მათ შორის, პირდაპირი მარკეტინგის, შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე არასრულწლოვნის პროფილის შექმნის გზით, ქცევაზე მიზანმიმართული სარეკლამო შეთავაზების მიზნით.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს, არამედ ეხმიანება და შესაბამისობაში მოდის აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივასთან.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, არამედ პირიქით მიზნად ისახავს ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრებს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას (მუხლი 367).

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;**

კანონპროექტი გამომდინარეობს ევროპის კავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებიდან, კერძოდ შეთანხმების XXXIII დანართიდან, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვალდებულებას აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივასთან.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;**



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარება“ ფარგლებში საკონსულტაციო კომპანია „Grant Thornton“-ისა და იურიდიული კომპანია „Pierston“-ის საკონსულტაციო ჯგუფი და ასევე, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „საქართველოს კანონმდებლობისა და აუდიოვიზუალური მედია დირექტივის დაახლოების პროცესში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხარდამჭერი პროექტის“ ფარგლებში ექსპერტი ჟან ფრანსუა ფურნემონი .

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ასეთი არ არსებობს.**

**დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

**საქართველოს პარლამენტის წევრები:** დავით სონღულაშვილი, ეკა სეფაშვილი, ბეჟან წაქაძე, ისკო დასენი, გელა სამხარაული, ლევან მგალობლიშვილი, გიორგი ამილახვარი, ბაია კვიციანი, ირაკლი მეზურნიშვილი, ქეთევან დუმბაძე, ბექა ოდიშარია.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

**საქართველოს პარლამენტის წევრები:** დავით სონღულაშვილი, ეკა სეფაშვილი, ბეჟან წაქაძე, ისკო დასენი, გელა სამხარაული, ლევან მგალობლიშვილი, გიორგი ამილახვარი, ბაია კვიციანი, ირაკლი მეზურნიშვილი, ქეთევან დუმბაძე, ბექა ოდიშარია.